წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 27 აპრილი 1916 წ. | № 93

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
გიორგი ილიას ძის
## ჩუბინაშვილისა
მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.
(თ—81—9)

## ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—23)

## მოდური მაღაზია
## გ. გაშარულისა
სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
## მხოლოდ ევროპიული
(—83—12)

## აბასთუმანი
## სასტუმრო „მინერალნია ვოდი“
გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც.
სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
სასტუმროს პატრონნი **ჩიკვაიძე და გეგიაძე.**
(8-163-2)

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 25 აპრ. ოფიციალი. რუსების არტილერიამ ილუკსტში ცეცხლი გააჩინა, რის ჩაქრობაც მტერმა ვერ შესძლო. გუშინ, ღამის პირველ საათზე, ილუკსტის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერმა წინ წამოიწია, მაგრამ შევაჩერეთ. ილზენის ჩრდილოეთით გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა განაცხოველეს. 24 აპრილს, დილიდან, ვიშნევის სამხრეთით მოქმედებდა მათი არტილერია ლიახოვიჩში. გერმანელმა ორმა ჰეროპლანმა ყუმბარები ჩამოჰყარა. გალიციაში, ცებროვის სამხრეთით, რუსთა გრენადერებმა გაჰფანტეს გერმანეთის სიმაგრეზე მომუშავენი.

**შავი ზღვა.** გუშინ კრეისერმა „ბრესლაუმ“ ევპატორიის კურორტებს ყუმბარები დაუშინა.

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიმართულებით, თურქებმა თანდათან დასტოვეს თხრილები.

—

**პარიზი,** 24 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. სომის სამხრეთიდან, ლიგონის სამხრეთით მდებარე სანგრებზე საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უშედეგოდ. წასულ ღამეს ვერდენის მიდამოებში „304“ სიმაღლესთან და ოდრემონ-ტომონის უბანში დიდი ბრძოლა იყო. სენ-მიელის სამხრეთით გავფანტეთ მტრის მზვერავთა რაზმი, რომელსაც ჰსურდა ბიზლერის აღმოსავლეთით სადარაჯოების ჩაგდება. პონფრუაკურის მიდამოებში შეიპყრეს ფრანგებმა ერთი მზვერავი. ნომენის სამხრეთ-აღმოსავლეთით 14 კაცი დავატყვევეთ.

**ლონდონი,** 24 აპრილი. გუშინ, ოტკილის ახლოს, იერიში მივიტანეთ მტრის სანგრებზე. მტერმა დაჰკარგა ათი კაცი, დაჭრილია რამდენიმე, ამის გარდა დავატყვევეთ 5 კაცი. არმანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტერმა უშედეგო იერიში მოიტანა. კამარე-რუეს აღმოსავლეთითაც მოვიგერიეთ მტრის იერიში. დღეს უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა. მტრის რამდენიმე მფრინავი გავაძევეთ.

**პარიზი,** 24 აპრილი. ოფიციალი, საღამოს ცნობა. მაასის მარცხენა მხარეზე ორი დღის მკაცრი ზარბაზნის სროლის შემდეგ, მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა სიმაღლე „304“ და მორტჰომის შუა. განმეორებული იერიშის შემდეგ მტერმა ხელთ იგდო „304“ სიმაღლის აღმოსავლეთით თხრილების შესავალი. სხვა ადგილებში ყველგან მტერი დიდი ზარალით მოვიგერიეთ. ჩვენმა ზარბაზნებმა და ტყვიის მფრქვეველებმა გერმანელების ბრძოლის ხაზს დაუშინეს; აქ მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. მარჯვენა მხარეზე, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მტერმა ოდრემონის ტყის და დუომონის შუა იერიში მოიტანა. დასავლეთის მხრივ მტერი 130 ადლის მანძილზე გამაგრდა. აღმოსავლეთით მისი იერიშები მოვიგერიეთ. ვევრთან მაასის სიმაღლეებთან საარტილერიო ბრძოლაა. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სროლაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რიგის ასპარეზი.**

რიგის მიდამოებში ორივე მხრით გაცხოველდა საარტილერიო ბრძოლა. 17 აპრილს, რიგაზე გამოჩნდა გერმანელთა სამი ჰაეროპლანი. რუსთა სადარაჯოებიდან ცეცხლი დააღვენეს, მაგრამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს და იგინიც ყუმბარის ფრქვევით დაბრუნდნენ. როგორც ეხლა იუწყებიან, ქ. ფრიდრიხშტატი, რომელიც ჯერ შარშან აიღეს გერმანელებმა, დანგრევა-აოხრებას კიდევ გადარჩენილა. მტერი აქედან მძლავრად მოქმედობს და საარტილერიო ბრძოლას აძლიერებს.

**ლიბავაში.**

როგორც გადმოგვცემენ, გერმანელებს გაუმაგრებიათ ქვემო-კურლიანდია. სიმაგრენი იწყობა მდ. ვინდავიდან ქ. ლიბავამდე.

თვითონ ლიბავა ძალიან გამაგრებულია თხრილებით თუ სხ. სიმაგრეებით. ალექსანდრე III-ს პორტში უცხოელებს არ უშვებენ. ლიბავაში ყოველ დღე მოდიან სურსათით დატვირთული გერმანეთის ორთქლ-მავალები. ქარხნები განიცდიან მატერიალის უქონლობას. ამის გამო მრავალი მუშა გაიგზავნა გერმანეთში.

ადგილობრივ საშინელი სიძვირეა. გირვანქა პური ათ შაურადაც კი არ იშოვება. რუსული მანეთი ჰღირს 70 კაპეიკი.

ლიბავადან გაქცეულთა სახლები და მამულები დაბეჭდილია და სრულიად ხელ-უხლები.

უკანასკნელ ხანში, ავსტრიელებმა ახალი კონსტრუქციის ცეცხლის მფრქვეველი შემოიღეს. იგი შესდგება ორი ნაწილისგან, ყუმბარა გაიფრენს რა განსაზღვრულ ადგილს, სქდება ჰაერში და მიღწეულ ადგილს ტყვიებს აფრქვევს, რასაც დიდი ზიანი მოაქვს. გერმანელებს უკვე უხმარიათ იგი ვერდენთან, ავსტრიელები კი საიდუმლოდ ინახავენ, სერიოზულ მოქმედებისთვის.

**შუმსკი ბალკანეთის შესახებ.**

ბალკანეთის შესახებ შუმსკი სწერს: გაზეთებმა გვაცნობეს, საბერძნეთმა „კატეგორიული“ უარი განუცხადა სერბეთს ჯარის გადაყვანაზედაო. ჯერჯერობით ნაადრევია უარზე ლაპარაკი და ეს კითხვაც მოკავშირეთა სასარგებლოდ გადასწყდება. რასაკვირველია, საბერძნეთი მოკავშირეთ პირველადვე ვერ გამოუცხადებდა თანხმობას და იძულებულია ჯერ-ჯერობით უარს მიჰმართოს.

რაც შეეხება საბერძნეთის გამოსვლას მოკავშირეთა წინააღმდეგ, ამის შესახებ ლაპარაკიც კი მეტია, რადგან იგი თვისი გეოგრაფიული მდებარეობით იმყოფება მოკავშირეთა ფლოტის კანტროლის ქვეშ.

მართალია, საბერძნეთის მეფე თავისუფალია არჩევანში, მაგრამ საეჭვოა მან „პოლიტიკური თვითმკვლელობა“ ჩაიდინოს. სანამ მოკავშირეთა დრედნოუტები ახლოს არიან სალონიკ-ათინასთან და სხ. ადგილებში, სანამ გენერალ სარაილის ჯარი იმყოფება საბერძნეთში, — საბერძნეთის პროტესტს არავითარი რეალური მნიშვნელობა არ ექნება.

ამნაირ პირობებში სერბთა ჯარი აისრულებს გულის წადილს და მტერიც ახალს ტკივილს იგრძნობს ბალკანეთზე. რაც შეეხება ოსმალეთის ჯარის გადაყვანას ბალკანეთში, ესეც შეუძლებელია, რადგანაც „გამოცდილი“ ოსმალები ყოველთვის აღარ აჰყვებიან გერმანელთა სურვილს. გერმანელები იძულებულ იქნებიან გაამაგრონ ბერლინ-სტამბოლის რკინის გზა და ავსტრიელთაც თავისი ჯარის ნაწილი უნდა გამოგზავნონ ბალკანეთის ასპარეზის დასაცველად. თუ გავითვალისწინებთ მტრის მძიმე მდგომარეობას და ვერდენთან ზარალს, დავინახავთ, რომ შარშანდელი ბრწყინვალე იმედები მათ აღარ აღეძვრებათ. გერმანელებმა მხოლოდ საფრანგეთისკენ კი არ უნდა იმოქმედონ, არამედ იტალია და ბალკანეთის ასპარეზზედაც უნდა იზრუნოს, მაშასადამე გერმანეთს ძალების დაქსაქსვა მოელის.

**ამერიკა-გერმანეთი.**

როგორც ლონდონიდან იტყობინება „ბირჟ. ვედ.“ საკ. კორესპ. „Morningi Post“-ის სიტყვით, ვაშინგტონში მყოფს გერმანეთის ელჩს, ბერნსტროფს, გაუცხადებია: იმპერატორ ვილჰელმს განუზრახავს პირადად მოელაპარაკოს ვილსონს და სთხოვოს არ დაირღვეს ძველი მეგობრული კავშირი ამერიკა-გერმანეთის შორის.

**მოწოდება „ნეიტრალ ზავის კონფერენციისა.“**

სტოკჰოლმში მოხდა „ნეიტრალ ზავის“ კონფერენცია, რომელმაც მოწოდება გამოსცა. როგორც ეტყობა ამ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებს ფორდის ექსპედიციის წევრები. მოწოდება მიჰმართავს პარლამენტებს, მთავრობებს და ომში ჩაბმულ სახელმწიფოებს. მოწოდებაში მოთავსებულია პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს მეომართ დღესვე შეუდგნენ ზავის პირობებზე მოლაპარაკებას ამასთანავე იმედს გამოსთქვამენ, რომ კონფერენციას გამოეხმაურებიან და ხალხი მყუდრო ცხოვრებას ეღირსება.

კონფერენციაში მონაწილეობა მიუღიათ დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის და შვეიცარიის წარმომადგენელთ.

აი ზავის პირობები:

**ა. ერთა თვითგამორკვევა.**

ამ პრინციპის მიხედვით არ შეიძლება ერთი სახელმწიფო მეორემ შეიერთოს, რადგანაც ამას მოსდევს თავისუფალ ერთა ჩაგვრა. მაშასადამე:

1) ბელგეთი უნდა აღდგენილ იქმნას.
2) ფრანგთა მიწები, რომლებიც გერმანელებმა დაიპყრეს, უნდა გაანთავისუფლონ.
3) ელზას-ლორენის საკითხი ხელმეორედ უნდა გადასინჯონ.
4) სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველ-ჰყონ სერბეთის და მთაშავეთის დამოუკიდებლობა.
5) პოლონეთი უნდა გამოცხადდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.
6) ავსტრია-იტალიის ხაზი ეროვნებათა მიხედვით უნდა გაიმიჯნოს.
7) სომხეთის ავტონომია საერთაშორისო მფარველობით.
8) ბალკანეთში და ოსმალეთ აზიაში ნაციონალური საკითხი საერთაშორისო შეთანხმებით უნდა მოხდეს.

**ბ. თავისუფალი ეკონომიური ზრდა ყველა ერთათვის.**

1) თავისუფალი მსვლელობა ყველა ახალშენებში და მიწა-წყალზე.
2) საზღვაო გზების საერთაშორისოდ გამოცხადება. მაგ. დარდანელისა და ბოსფორისა.
3) გერმანეთს უნდა დაუბრუნდეს წართმეული ახალშენები.
4) გერმანეთს ახლო აღმოსავლეთის გზა თავისუფალი უნდა ჰქონდეს.

გ) **ზღვებზე თავისუფლება** უზრუნველ-ჰყონ საერთაშორისო დადგენილებით;

დ) **გარეშე პოლიტიკის კანტროლი,** რომელიც თავიდან აგვაცდენს ჩუმად შეკრულ კავშირს.

ე) **სახელმწიფოთა ორგანიზაციის დაარსება** პოლიტიკურ უთანხმოების მოსაგვარებლად.

ვ) **იარაღის აყრა;**

ზ) **სახელმწიფოთა კონგრესი.**

აღდგომა, 1916 წ. ხელმოწერილია ნეიტრალი კონფერენცია, სტოკჰოლმში.

ამ მოწოდებას ბერლინში სიმკაცრით შეხვდნენ.

„Berl. Tag." სწერს: მოწოდება მოკავშირეთა სიმპატიით არის გაჟღენთილი, სწორედ ამით აიხსნება ელზას-ლორენის და იტალია-ავსტრიის საკითხების წამოყენება.

# ბრძოლის ველზე

„თავდაცვისთანა საზიზღარი საქმე აღარა იქნება რა,"—ასე ამბობდა სუვოროვი და თავმომწონედ გაიხსენებდა უნიჭიერეს სარდალთა სარდალს და გენიოსს ხელმძღვანელს, თუ გნებავთ, ქვეყნიურ ომის ღმერთს ნაპოლეონს, რომელნიც სტრატეგიაში მხოლოდ და მხოლოდ იერიშს აძლევდა მნიშვნელობას და ომის ბედის გარდაწყვეტას ინიციატივის ხელიდან გაუგდებლობაზე ამყარებდა. დიდი ნაპოლეონის სკოლა მოლტკე-ჰინდენბურგ ფოლკენჰაინებმა უფრო გამოიყენეს, ვიდრე მის სამშობლოს თუნდა ისეთ უნიჭიერესმა სარდლებმა, როგორიც გახლავთ ერთის მხრით გენერალისიმუსი ჟოფრი და მისი მოკავშირე სახელმწიფოების სარდლებმა. დღეიდან ომის გამოცხადებისა გერმანეთი ზეკაცურს ძალღონეს იჩენს რათა ამ პრინციპს არ უღალატოს. მისი მოკავშირენიც მას ჰბაძვენ. მართალია, რუსეთს ერთი ხანა ჰქონდა თითქმის რვა თვეზე მეტი ხანი ებატონა და ინიციატივა გამოეტაცნა ავსტრიელთათვის, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდიური სახით დამთავრდა და გალიციის ეპოპეის შემდეგ ინიციატივა იგი საჰოჭმანო და ხადავო საგნად გახდა ... ვის უნდა ეკუთვნოდეს იგიო. ... კავკასიის ასპარეზზე, სადაც თვით ... იუდენიჩმა ასე მშვენივრად გენერალ...ში, საბოლოოდ მდგომარეობა ვერ იქნა ... მყარი და როგორც დაიწყო საქ... ...ნებიდან ვხედავთ, ყოველდღიურ მოხს... ...ით და იერიოსმალთა თავი გამოუდ... კვლავ სასშების მოტანა დაუწყიათ. ... უდელ... წ...ის დონემ დაიწყო რყევა. ... მისი ... გერმანეთისკენ სძლევს. ვხედავთ, რომ მისი შემუსვრის საქ... ცოტა შორეულ საქმედ გარდაიდო. ჯერ ჯერობით არ გაგვიმართლა იმედები, რომ მოკავშირენი შესძლებდნენ საზოგადო იერიშის მოტანას და დაპყრობილ ქვეყნების განთავისუფლებას. ვერდენის ოპერაცია, რომელიც შესაძლებელი იყო პირველ თვის უმალ უმნიშვნელო ოპერაციად დარჩენილიყო და მხოლოდ ციხის აღებით დამთავრებულიყო, ახლა ამ გაჭიანურების შემდეგ ისეთის მორალურ ღირსებით აღიჭურვა, რომ მისი გაძლება და დამარცხება თითქმის სედანის ბრძოლას დაემსგავსება. წინააღმდეგ მთელი ათეული დღის განმავლობაში საფრანგეთის შტაბის უწყებისა მოულოდნელად დავინახეთ სინამდვილის სიმწვავე, დავინახეთ, რომ აღთქმათა ახდენამდი შორსა ვართ, დავინახეთ ისიც, რომ ფრანგებს ჯერ კიდევ სასურველად ვერ მოუკრებიათ ძალღონე არა თუ იერიშების მოსატანად, თვით ციხის სათანადო დასაცველად. უდიდესი მაღლობი „304", რომლის გარშემოც საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებდა თითქმის მთელი ერთი თვის განმავლობაში, ეხლა გადანგრეულია, გერმანელთა მოწინავე რაზმი შეჭრილა კიდეც და უნდა ვიფიქროთ სავსებით კიდეც დაიუფლეს ამ მაღლობის გადათხრით, ვერდენის დაცემის საკითხი მორიგ საკითხად გარდაიქცა! მთავარი ციხე განსაცდელშია. მაგრამ საქმე მხოლოდ ის ხომ არ არის, რომ ციხე დაეცეს და მორალური ეფექტი მოახდინონ მსოფლიოზე ნეიტრალ სახელმწიფოთა მოსამხრობად, არამედ რომ ამ ციხის გადანგრევით გენერალური ბრძოლა საფრანგეთთან საქმის მოსარჩომად ბეწვზე ეკიდება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამოქმედო რუქა გერმანელებმა მარტო ვერდენით კი არა მთელს ფრონტზე გარდაშალეს, კალე-იპრიდან მოყოლებული ვიდრე სანმიელამდე. ასე რომ შესაძლებელია გერმანელებმა მიაღწიონ იდეალს, ფრანგთა ჯარებთან პირისპირ შეყრას, რასაც რა ერთი ხანია ეტრფოდნენ თუნდა პარიზისა და კალესაკენ გალაშქრების დღიდან...

**რუსეთის ასპარეზი**

დღითი დღე იჭიმება გასაწყვეტი სიმი. ყველა სამხედრო მიმომხილველი ამ მოლოდინს წინასწარ მეტყველობს. გადმოგვცემენ აგრეთვე ბალტიის ზღვაზე გერმანელთა ესკადრის დემონსტრაციებს და ზარბაზანთა ქუხილს. ყველა ესაო, გვეუბნებიან, მომასწავებელია იმისი, რომ მოახლოვდა ბრძოლის განახლების დღეო. ყველაზე დაჟინებით „რუსკი ინვალიდი" ირწმუნება ბალტიის ზღვაზე ბრძოლის აუცილებლობას. თითქოს ამ ამბის დასასაბუთებლად კერძო ცნობები მოდის, სხვა და სხვა სააგენტონი ადასტურებენ, ბალტიის ფლოტის ადმირალად დანიშნეს ფონ-ტირპიციო. ჩვენ ვიცით ტირპიცის ვინაობა, ვიცით, ამ ადმირალის ჭკუა, სიმახვილე. ალბად მართლა განსაცდელი უნდა მოახლოვებულიყოს, რომ ასეთს ადამიანს მიჰმართეს. ჯერ-ჯერობით კი მდგომარეობა ასეთია- ილლუქსტის სამხრეთით გერმანელები საარტილერიო ქარიშხალისებურს ცეცხლს აწარმოვებენ. ამასთანავე, ეტყობათ, რომ იერიშით წასვლასაც ჰსურთ. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით ამ ახლო მომავალში გამოირკვევა, ეს დემონსტრაცია თუ დიდი ომების დასაწყისი ნიშნებია. ასეთივე მკაცრი საარტილერიო სროლაა დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით. აღსანიშნავია აგრეთვე მფრინავთა რაზმის თარეშობა და სხვა და სხვა რაიონებში ყუმბარების ჩამოყრა.

შავს ზღვაში კრეისერმა „ბრესლაუმ" კვლავ პირი იბრუნა. სრულიად დაუცველ ქალაქს ევპატორიის ყუმბარები დაუშინა. რაც შეეხება კავკასიის ფრონტს, აქ ერზინჯანის მიმართულებით ოსმალნი უკუ უქცევიათ და პირველი წყება თხრილებისა წაურთმევიათ. რა ხდება სხვა მიმართულებით, ვსთქვათ, აშკალა-ბაიბურთისკენ, ანუ ბითლისისა და დიარბექირის მხრით, საიდანაც ამ ერთი კვირის წინ ცნობები გვქონდა. ოსმალნი იერიშებით მოდიანო,—ამის შესახებ მთავარი შტაბი აღარას ამბობს. ყოველ შემთხვევაში ამ ახლო მომავალში ბევრი რამ გამოირკვევა.

X.

## თბილისი, 27 აპრილი.

**ლაზისტანი და ჩვენი ეროვნული აპოლიტიზმი.**

რაც რუსეთის ხელმწიფებამ საქართველო დაიუფლა და მის საქმეს განაგებს, რაც დაიშალა და დაირღვა ქართველთა წრე, რომელიც იძლეოდა სახელმწიფო პიროვნებათ, ვის მოვალეობადაც გადაქცეული იყო პასუხის გება ქვეყნის ავ-კარგისათვის,—ქართველობამ თანდა თანობით დაჰკარგა ტრადიცია საერთო ეროვნულ საქმეზედ ზრუნვისა. მას გადაუშენდა ეროვნული პოლიტიკის ქმნის გრძნობა და გონება. მას წაერთვა მოთხოვნილება და ჩამოშორდა მოვალეობა დღე და ღამ იმაზედ ფიქრისა, სხვა ქვეყნებთან საქართველოს თუ რანაირი დამოკიდებულება უნდა დაეჭირა, თუ რანაირი განწყობილება უნდა დამკვიდრებულიყო თავისავე ქვეყანაში;—სხვა სიტყვებით ქართველ კაცს ჩამოეცალა მოვალეობა საშინაო და საგარეო საქმეები, როგორც ბუნებრივი ფუნქცია საქართველოს ეროვნული სხეულისა, უკვე გაუქმებული იყო და ერთიც და მეორეც უკვე გადასული რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკაში, მაშასადამე, რუსეთის ხელმწიფების უწყებაშიც. ამ გვარად, რაც საქართველოში მოისპო და ჩაიშალა ორგანიზაცია, რომელიც მარტოკა თავის არსებობის ძალით აწრთობდა და სჭედდა ქართულ სახელმწიფო გონებას, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს, საქართველოდან აღიგავა მაღალი სჯულმდებელი და აღმასრულებელი კორპუსი.

ეს რღვევის პროცესი ძირსა და ძირს ჩაჰყვა. ვინაიდან მაღლიდან ქვემომდე ერთი ხელმწიფება იყო გამეფებული, რომელიც თავის **საკუთარს და არა-ქართულ** პოლიტიკას აწარმოებდა, ამიტომაც ჩამავალ საფეხურებზედ ჩამოყენებული ყველა ქართველი მოხელე თანდათან რწმუნდებოდა რომ ისინი რუსულ საქმეს ემსახურებოდენ, და რუსეთის სახელმწიფოს აგენტები იყვნენ.

პოლიტიკაში იგინი გარუსდენ და ამ გარუსებას ჰირადის შრომით ემსახურებოდენ. ამგვარად მათ ეკარგებოდათ გრძნობა ეროვნული საქმის კეთებისა, ეროვნული მოვალეობის აღსრულებისა. ეს რღვევის პროცესი საზოგადო სახელმწიფოებრივ დაწესებულება-ორგანოებიდან გადავიდა უბრალო მცხოვრებთა შორის, სოფელქალაქად; ამგვარად მთელი ქართველობა მოსწყდა თავის ქვეყნის პოლიტიკის წარმოებას შინ და გარედ. იგი გადაეჩვია ეროვნულ ძიებას ზრდა-განვითარებისაკენ.

ამ ბოლო ხანებში გამოსული მომქმედი პოლიტიკური პარტიებიდან, ერთი—ჯერაც ვერ შერიგებია ეროვნობის პრინციპს, და თვის ერის უფლების დასაცავად, პოლიტიკური ფორმაც არ მოუძებნია, მეორე,—ეროვნების იდეურ მოსარჩლედ გამოვიდა და წამოაყენა პოლიტიკური ფორმულა თვის ქვეყნის ეროვნების უფლების უზრუნველსაყოფად. მაგრამ იგი შერჩა ამ იდეურ სფეროს და ეროვნული პოლიტიკური პრაქტიციზმის ნიჭი და უნარი ვერ გამოიჩინა. ამგვარად ეროვნულ სახელმწიფოებრივს მხრივ დაშლილი გონებით შეჰხვდა საქართველო დღევანდელ ომს. მართალია, დატრიალებულმა არაჩვეულებრივმა ამბებმა დიდი ცვლილება შეიტანეს ქართველთა ფსიხიკაში და მათი ზედგავლენით ქართველ საზოგადოებას თვალსაჩინო ეროვნული სიფხიზლეც დაეტყო, მაგრამ ქართველი კაცის მთელი საუკუნის განმავლობაში სრულიად გადაშენებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გონება ერთბაშად მაინც ვერ გამოსწორდა. ეროვნულ-პოლიტიკური პასივიზმი, ეროვნული აპოლიტიზმი. ქართველობის საზოგადოებრივი ხასიათის ნიშანდობლივ თვისებად რჩება ჯერ კიდევ, ამ სამწუხარო გარემოებას ნათელ ჰყოფს თუნდაც ის უყურადღებობა და ინდიფერენტიზმი, რომლითაც შეჰხვდა ქართველი საზოგადოება და პრესა ლაზისთანსა და ლაზებს, რომლებთან მისვლა, დამეგობრება, და ეროვნული ნათესაობის გრძნობის გაღვიძება დღეს ადვილი საქმე იყო, ომისგან შექმნილ პირობების წყალობით.

—

მაღალი პირველ-დაწყებითი სკოლების (ანუ წინანდელი საქალაქო სკოლების) მასწავლებლები საოსტატო ინსტიტუტებიდან გამოდიოდენ. მთელი კავკასიისთვის ერთად-ერთი საოსტატო ინსტიტუტია, რომელიც თბილისში არსებობს. რუსეთშიც ერთობ იშვიათია ასეთი სასწავლებელი. თბილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტს აუარებელი მსურველი აწყდება, რის გამო მასში შესვლის პირობები ერთობ გაძნელებულია. სხვა და სხვა მიზეზის გამო ქართველთა რიცხვი ამ სასწავლებელში კლებულობს, რაც ერთობ სამწუხაროა, ვინაიდგან ჩვენში მომრავლებულ მაღალ პირველ დაწყებით სასწავლებლებში ქართველი მასწავლებლები აღარ იქნებიან; ამ გარემოებით კი ჩვენი ეროვნული აღზრდის საქმე და თვით ქართული სოფელი დიდად დაზიანდება და დაზარალდება. საჭიროა სათანადო ღონისძიება, რომ ეს ნაკლი როგორმე შევსებულ იქმნას. როგორც ჩვენს გაზეთში არა ერთხელ იყო აღნიშნული, ამ ხსენებულ ინსტიტუტში თურმე **ათი სახელმწიფო სტიპენდიაა დაწესებული ქართველ თავად-აზნაურების შვილთათვის** და ყველა ეს სტიპენდია თურმე გამოუყენებელია. საჭიროა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს. რად უნდა დავკარგოთ ათი ნიჭიერი და ღარიბი აზნაურის აღზრდის საშუალება. იმედი გვაქვს ამ საქმის გამოძიებას და მის სათანადო მოგვარებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ხსენებული საკრებულო.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**სტამბოლში მყოფი ოსმალთა ჯარის უდიდესი ნაწილი ბაღდადისაკენ გაისტუმრეს.**

—

**გერმანელები ბალტიის ზღვაზე მოქმედების გაძლიერებას აპირებენ. ამის გამო ბალტიის ზღვაში მყოფ გერმანეთის ფლოტის მთავარსარდლად ფონ-ტირპიცი დანიშნეს.**

—

**შავის ზღვის სანაპიროების დაცვა მაკენზენს დაევალა. მასვე აქვს მინდობილი ბალკანეთზე ფრაკიაში მყოფ ოსმალთა ჯარის ხელმძღვანელობა.**

ლ. ჯ.

(მოსკოვის საკ. კორესპონდენ.)

**„ინვალიდი" იტყობინება: აპრილში კაიზერმა საგანგებო სამხედრო თათბირი გამართა. მოიწვია პრინცები, შტაბის უფროსები გერმანეთისა, ავსტრიისა. ბულგარეთისა და ოსმალეთისა. თათბირის საგანი რუსეთის ასპარეზზე სამოქმედო გეგმის შემუშავება იყო.**

—

**სანდო პირნი აღნიშნავენ: ზომებია მიღებული, რომ ოსმალეთი კავკასიის ასპარეზზე ვერ გაძლიერდესო.**

—

**სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები მთავრობის კონტროლს დაუმორჩილეს, რომელიც კომიტეტის ოთხ მეხუთედს თვითონ ჰნიშნავს.**

—

**რუმინეთიდან სომხები ოდესას მოაწყდნენ, იქ სამხედრო ზეგარას გამოექცნენ. აქედან კავკასიისაკენ გაემგზავრებიან.**

—

**მოსკოვში არსდება წინა აზიის სამეცნიერო საზოგადოება.**

გ. ვ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე ილლუკსთან და დვინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

—

შავ ზღვაზე კვლავ „ბრესლაუ" გამოჩნდა და ევპატორიას ყუმბარები დაუშინა. შენობები დაზიანებულია.

—

ვერდენის ასპარეზზე „304" სიმაღლესთან მკაცრი ბრძოლაა. ამ სიმაღლის ერთი შესავალი გერმანელებმა ხელთ იგდეს.

—

გერმანელებმა წინ წაიწიეს 130 ადლი და გამაგრდნენ. ვევრში ზარბაზნის მედგარი სროლაა.

—

ირლანდიელთა მეამბოხენი გაასამართლეს, ... ვისაც სიკვდილით ... სამუდამოდ შეუცვალეს.

გრაფინია მარკევიჩს უვადო კატორღა გადაუწყვიტეს.

—

ადესიდან იტყობინებიან: პროფესორ ბორისოვის ლაბორატორიაში ასისტენტმა ქუთათელაძემ ღვინოში ერთგვარი ნაწილი აღმოაჩინა, რომელიც გულის მუშაობას ასუსტებს.

**„მერანი"-ს პირველი წიგნი 1 მაისიდან თანდათანობით დაურიგდებათ „საქართველოს" ხელის მომწერთ.**

# ახალი ამბავი

✦ **თათბირი ერობის შესახებ.** გუშინ საღამოს $9^1/_2$ საათზე სასახლეში მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი ერობის შემოღების შესახებ კავკასიაში. თათბირი 10—14 დღეს გასტანს. დილის $11^1/_2$ საათზე თათბირის მონაწილენი სასახლეში წარუდგნენ მეფის ნაცვალს.

✦ **წინასწარი თათბირი ერობის** შემოღების შესახებ კავკასიაში გაიმართა არტისტიულ საზოგადოების დარბაზში 25 აპრილს ნაშუადღევის 5 საათზე. თათბირს 80 კაცამდე დაესწრო. სხვათა შორის თავმჯდომარე სამოსამართლო პალატისა სენატორი ჩებიშევი, სამოსწავლო ოლქის უფროსი ნ. ფ. რუდოლფი, თბ. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი, პრეზიდენტი საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა თ-დი მ. ა. სუმბათაშვილი ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, საუფლისწულო მამულების გამგე ბ. პურგოლფი ქალაქის მოურავები ამიერ-კავკასიისა, წარმომადგენელნი საზოგადო ორგანიზაციებისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თათბირი კი ამავე საკითხზე გაიმართა მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის თ-დ ორლოვის ბინაზე იმავე დღეს.

✦ **აბხაზთა დეპუტაცია.** გუშინ თბილისში ჩამოვიდა აფხაზების დეპუტაცია, რომელიც უნდა წარუდგეს მეფის ნაცვალს და სთხოვოს, სოხუმის ოლქში დამოუკიდებელი ერობის შემოღების შესახებ; და თუ რამენაირი მოსაზრებით მეფის ნაცვალი ამაზე უარს იტყვის, მიაწეროს ეს ოლქი ქუთაისის გუბერნიას. ასეთივე დადგენილება გამოუტანია სოხუმის ქალაქის საბჭოს. დეპუტაციაში შედიან: თავადი ალექსანდრე შერვაშიძე, თ. ასტამურ ინალიფა, თ. მელიტონ ემუხვარი და გლეხების ერთი წარმომადგენელი.

✦ **თ-დ-აზნაურთა წმ. ნინოს სახელობის** კომიტეტს, რომელიც ჯარში გაწვეულთა ოჯახთ დახმარებას უწევს, ახალ კლუბის საბჭომ გაუგზავნა 7677 მან. 47 კ. პროცენტების სახით შემოსული 22 მარიამობისთვიდან 31 მარტამდე.

# მიწად-ფლობელობა უწინ და ეხლა

შესავალი.—როგორ სწერდნენ მამულის საზღვარს და ნასყიდობებს—სიგელებს.—მამულის უწინდელი და ეხლანდელი დანაწილება და გეგმა.—ხიზნების სოფლებში ძველ დროს ვინ სცხოვრობდნენ.—ხიზნების დასახლება და მათი პირობები.—სოფ. ძაღინა და ისტორიული მისი მნიშვნელობა.—სოფ. ოქონა და მისი სიგელი.—მეფე გიორგი VII-ს სიგელი.—სოფ. ავნევი და მისი საქართველოს მსაჯულთ კრებულის გადაწყვეტილება.

**შესავალი.**

ჩემი აღწერა ეხება იმ ერთ კუთხეს ქართლისას, რომელიც საზღვრავს იმერეთს და მათ შუა ლიხის მთებია გაჭიმული.

ლიხის მთების მწვერვალიდან, რომელსაც უძახიან „ლოხონს" და მისი სიმაღლე უდრის ზღვის ზედა პირიდან 6,300 ფუტსა, მომდინარეობენ მდინარენი ფრონეები, ალისა, ფცისა და დვანისა.

ამ მწვერვალიდან ირგვლივ საუცხოვო სანახავები ეშლება თვალწინ იქ ამსვლელს: აგერ აღმოსავლეთისკენ ცხინვალი მოსჩანს, რომელსაც გადმოსცქერის ზღუდურის პატარა თეთრი ეკლესია,—თავის მჩქეფარე მდინარე ლიახვით და მის მდებარე სოფლებით.

დასავლეთისკენ ამ ზღვა ხევ-ხუვებში, სადაც მიიკლაკნება მდინარე ძირულა და მთების ძირში ჩაჰქუხს, მის მიდამოებში გაფანტულია სოფლები და შორს სივრცეში მოსჩანს საჩხერე—ეს ლამაზი დაბა თავის „მოდინახეს" ციხით.

სამხრეთისკენ შორს სივრცეში მოსჩანს ქართლის ძველი ქალაქი გორი შუაში აღმართული ციხით და კიდევ შორს შეერთებული ცის კაბადონზე „ტირიფონას" ველი ოდნავ ირჩევა, ვერცხლისფრად მძიმედ მიმდინარეობს მდ. მტკვარი და მას ერთვიან მოჩხრიალე ანკარა მდ. ფრონეები, სადაც მის ხეობებში, როგორც ხელის გულზე, სოფლებია გაფანტული თავის წარმტაცი სილამაზით.

ჩრდილოეთისკენ კი—თითქოს აქავეა,—აღმართულან „თოვლიან-ყინულიანი, ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერიც გადმოჰქუხს ბროლი-წყლიანი" კავკასიონის მთები—„ბრუნდ-საბძელა", „ფიცარა" და მათ შორის ირჩევა კავკასიონის მწვერვალი შაქრის თავივით „მყინვარი".

კაცი ვერ ძღება „ლოხონის" მწვერვალიდან ამ საუცხოვო სანახავებით და მის მზერაში დრო შეუმჩნევლად მირბის.

ფრონის ხეობება გადაჭიმულა მრავალ ფეროვანათ, შემკულია ტყით და მინდორით, მდელოთ და ბარით, ჭალა-ბარით, შესავლით და გასავლით, დასერილია ანკარა მდინარეებით—სავსე კალმახით, დასახლებულია დროებით ვალდებული გლეხებით და ხიზანი ოსებით და მეტს წილს ამ მამულისას ჰფლობელობენ თავადაზნაურნი.

მდ. ფცის წყალი შედგება მდ. ლოპნის, მეტეხის და მუხაურის შეერთებულ წყაროებიდგან. მდ. ფცის წყალს უერთდება სოფ. ქვენატკოცასთან მდ. ალის წყალი და ... მდ. მტკვარში, მის ახლოს ერთვის მდ. მტკვარს მდ. დვანის წყალიც.

**როგორ სწერდნენ მამულის სამზღვარს და ნასყიდობებს—სიგელებს.**

უწინდელ დროში სახნავ მამულებს თავისი კანონიერი სამზღვრები ჰქონდა; ვერავინ შეეხებოდა, მათ შორის დადებულ ძეგლებს გუთნის კვალსაც ვერავინ გაავლებდა. ერთ რიგზედ მდებარე სახნავ მამულებს თავიანთი **საქცევი** ჰქონდათ, იმდენი, რომ ურემი თავისუფლად გაივლიდა, ასე რომ ყველა სახნავ მიწას მისასვლელი გზა ჰქონდა.

ამას გარდა სამზღვრებს იხსენიებდნენ და სწერდნენ სიგელებში ადგილმდებარეობის მიხედვით, აი სხვათა შორის რას ვკითხულობთ ნასყიდობის სიგელში:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა მამისა და ძისა და სულისა წმინდისათა ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ თქვენმან ბატონმან ფალავანდისშვილმან როსტომ და ონოფრემ შენ ბურძალაძე გოგიასა, ძმასა შენსა მღვთისაისა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომ ჟამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი ბარათში ნარგების ბეჟუა ტაღონაშვილის ნაქონი მიწა და მის **ერთ გვერდზედ** პარტახი ვენახი ჭელელიძის ვენახამდი და ფაიქაშვილისა და ხახუაშვილის ნავენახამდი, **მეორე გვერდი** ისევე ხახუაშვილისა და ფაიქაშვილის მიწის მიდგმამდი, **თავს** ამავ ტაღონაშვილის ნავე...ხამდის, **ბოლოსაც** ამავ ტაღონაშვილის და ნაკაშიძის ... მიდგმამდის. გქონდეს და გიბედნიეროს ღ-თნ, არა დარჩომილარა ჩვენი თქვენზე არც ერთის იოტის ფასი და ავიღეთ ფასი სრული და უკლებარი, რითაც ჩვენი გული შეჯერდა, რამაც ჩემთა შემდგომმა და მომავალმა ეს სიგელი მოგიშალოსთ, ცოდვათა ჩემთა მაგიერ განსაჯოს ღ-ან დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღ-ან აკურთხნეს. არის ამისი მოწამე ფალავანდიშვილი ბერი, ფალავანდიშვილი იაკობ, გოგიბისშვილი დავით, ლაშხი დავით, აჭარაძე პაატა, გულიკაშვილი ბერი. მე სამარღანიშვილს მღვდელს გრიგოლს ბატონის ფალავანდისშვილის როსტომის და ონოფრეს სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ მისი. მაისის თ. ქკს უპბ (1794 წ.)

ამ სიგელიდან სჩანს რომ ქვეყნის მხარეების მაგიერ-ხმარებაში მიღებული ჰქონიათ: „ერთი გვერდი", „მეორე გვერდი", „თავი" და „ბოლო", ესე იგი, იგულისხმება: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი.

ჩვენს დროში კი სულ სხვასა ვხედავთ: სახნავ მიწების შორის დატოვებულ ძეგლებს გუთნით ანგრევენ, საქცევი გადახნეს და ერთი-ერთმანეთის მიწებს უწევენ; ძეგლების მაგიერ ერთი ოქოქის კვალია გავლებული, სახნავ მამულებში მისასვლელი გზა აღარ არის.

რათ ხდება ეს? განა ძველ დროში მამული თავზე საყარი ჰქონდა ქართველ კაცს? არა, უწინაც მამულს სიცოცხლეს გრძნობდნენ, როგორც ეხლა—მაგრამ ეხლანდელმა ქართველმა არ იცის სხვის საკუთრების პატივ-ცემა.

მამულები რომ დაიმიჯნა, ხევრს ფიქრად არც კი მოუვიდა, რომ მისასვლელი გზა დაეტოვებინა სახნავ მიწაში, თუმცა ერთი-ერთმანერთის მიწებზედ გადად-გადმოდიან, მაგრამ თუ რომ იმ მიწებში ან დასახლდნენ და ან ბაღ-ვენახები გააშენეს, მაშინ მეზობელ მიწებს გზა შეეკვრის და ხდება ერთი დავიდარაბა, ბოლოს ისევ მისასვლელი გზა უნდა შეისყიდოს მიწის პატრონმა და იმდენი დაუჯდება, რაც მთელი მისი მიწა ეღირება.

ამ მიწების გამიჯვნამ ისეთი არევდარევა შეიტანა მცხოვრებთა შორის და დავიდარაბა, რომ დაწყებული ამ 40—60 წლების წინ,—დღესაც არ დამთავრებულა. ამასთანავე მთელი რიგი მიწადმფლობელობისა შეიცვალა გლეხის საზარალოდ.

წინათ თუ გლეხი სარგებლობდა საერთო მამულიდან შეღავათით მემამულეებისაგან საძოვრით, საწყლიპიროთი, ან ტყით,—დღეს იმ დაყოფილ მამულს ათი და ოცი მამულის პატრონი გაუჩნდა და, რასაც იხდიდა იმ მამულში საძოვრის ფასს, ეხლა, რამდენი მამულის პატრონიც იქნება, იმდენი გადასახადი ედება.

თუ რომ დავხედავთ ოქონის ერთ-ერთ კუთხეს „კალათ მინდორის" გეგმას, დავინახავთ, რომ სწორე ნაჭრებადაა დაყოფილი და სახნავად შესაფერია. ეს ძველის-ძველად დაყოფილი მინდორია და მეფე თეიმურაზის სიგელიდანაც სჩანს, რომ ეს ხოდაბუნები მაშინაც ამ რიგად მდებარეობდნენ.

სამაგიეროდ სულ წინააღმდეგს ვხედავთ ავნევის ახლად გამიჯნულ გეგმაში სახელდობრ „სალთვისის" მინდორში, როდესაც ეს ადგილი იყოფოდა, მისი მამულის პატრონები ვინ ვის ვის მოასწრობდა, უმგზავს ნაჭრებად ჰყოფდნენ და შეუფერებელი ხდება თვითეული ეს ნაჭერი მიხლაკნილმოხლაკნილ სამზღვრებით რაციონალურ დამუშავებისა.

განვიხილოთ ახლა ძველი ნასყიდობების სიგელები, თუ ჩვენ დროში მთავრობის დაწესებულებებში უნდა გაიაროს ნასყიდობებმა და მათ მიერ უნდა დამტკიცდეს, ძველი დროის სიგელებს კი სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს მიცემული და დამსწრე დარბაისელნი ... თავიანთის ბეჭდის დასმით და ხელმოწერით. აი, სანიმუშოთ მოვიყვან ავნევის ნასყიდობის სიგელს, მართალია, ცოტა გრძლად მოგვივა მისი ამოწერა, მაგრამ მნიშვნელოვანი კია ყოველი მისი სიტყვა.

Legatus.

(შემდეგი იქნება).

✦ **გაემგზავრა** თავის ეპარქიაში ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

✦ **დაბრუნდა** თბილისს სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე ი. დ. როდინსკი, რომელიც ბაქოს გუბერნიაში იყო წასული სკოლების სარევიზიოდ.

✦ **სწავლა სამრევლო სკოლებში.** საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ მოწერილობა დაუგზავნა სამრევლო სკოლების გამგეთ რათა სწავლა სამრევლო სკოლებში უადრეს 15 მაისისა და უგვიანეს 20 მაისისა არ იქნეს შეწყვეტილი.

✦ **სამართლიანი განკარგულება.** ქალაქის გამგეობამ ბრძანება დაუგზავნა თავისს ხელქვეითებს. რომ საეჭვო პირებს არ მიჰყიდონ შაქარი საქალაქო დუქნებიდან. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ზოგიერთი წვრილი ვაჭრები 22 კაპეიკად ყიდულობდნენ თურმე შაქარს საქალაქო დუქნებში და შემდეგ კი გირვანქას 2 აბაზად ჰყიდდნენ.

✦ **ყრილობა დირექტორებისა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის განკარგულებით, ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნება ყრილობა სახალხო სკოლების დირექტორთა. ყრილობამ უნდა განიხილოს საკითხი სკოლებთან ბოსტნეულობის მოყვანისა საომარ საჭიროებისათვის.

✦ **კერძო თათბირი.** შაბათს, 30 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში კერძო თათბირი ექნებათ ხმოსნებს. თათბირზე უნდა გამოარკვიონ, თუ ვინ უნდა აირჩიონ ქალაქის მოურავად და მდივნად.

✦ **შუამდგომლობა.** მეეტლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე ნიხრის გადიდების შესახებ. ერთ მანძილზე თხოულობენ 70 კაპეიკს, ნაძალადევში წაყვანისთვის 60 კაპ., ვაგზალში 80 კ., ერთ საათში 1 მანეთს.

✦ **სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკის** კავკასიის განყოფილების გამგე და მთავარი რწმუნებული ომში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის ა. ა. პავლოვი მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო სამსახურიდან გადადგა.

✦ **ქუთაისის საოლქო სასამართლოს** თავმჯდომარე ნ. პ. ფეოდოროვი სამსახურს თავს ანებებს. ამ ჟამად რევიზია სწარმოებს ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ნაწილისა.

✦ **შემოიტანეს** თბილისში 25 აპრილს: ფქვილი 18 ვაგ., ქერი 3 ვაგ., სიმინდი 1 ვ., ხორბალი 5 ვ., შეშა 13 ვაგ.. ნავთი 6 ვ., გაუწმენდელი ნავთი 17 ვ., ქატო 6 ვ., მარილი 1 ვ., მაკარონი 1 ვ., ქვის ნახშირი 1 ვ., ხეტყე 1 ვაგ., ლიმონი 27 ფუთი, ერბო 109 ფუთი, ღვინო 415 ფუთი.

✦ **ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიას** გასულ წელს გამოუკვლევია 9753 ნიმუში სხვა და სხვა საჭმელ და სასმელ ნივთიერებათა. ამ რიცხვში 1434 ნივთიერება გამოუკვლევია ქიმიურად ხოლო 8319 მიკროსკოპიულად. საკანდიტერო ნაწარმოებთა 84 ნიმუში 60,5 პროც. აღმოჩენილა უვარგისი, წამალ შერეული, ე. ი. სპილენძ ნარევი. ქალაქის მილების წყალი წლის განმავლობაში 23-ჯერ ყოფილა სუფთა. 9-ჯერ მღვრიე, დანარჩენ დროს ამღვრეული. ხილეული წყლების 102 ნიმუშში 19,5 პროც. აღმოჩნდა ამღვრეული და ქვანახშირიან წამალ ნარევი. „კვასის" 62 ნიმუშში აღმოჩნდა დამჟავებული და ქვანახშირიან წამალ ნარევი. წამლების 53 ნიმუშში, რომელსაც საჭმელებში ხმარობენ, 56 პროც. უვარგისი აღმოჩნდა. ძეხვეულობის ნაწარმოებთა 53 ნიმუშში 65 პროც. უვარგისი აღმოჩნდა და ფქვილ ნარევი, წონის მოსამატებლად. საკანდიტრო „პეჩენიის" 8 ნიმუშში 12 პროც. უვარგისი აღმოჩნდა. ერბოს 55 ნიმუშში 34 პროც. სხვა და სხვა უვარგის ნივთიერებათა შერეული აღმოჩნდა. კარაქის 25 ნიმუშში 28 პროც. ქონ-ნარევი აღმოჩნდა. რძის 483 ნიმუშში 65 პროც. წყალ ნარევი აღმოჩნდა, სახმარებლად უვარგისი. მაწონის ყველა ნიმუშები უსუფთაო და წყალ ნარევი აღმოჩნდა. ფქვილის 18 ნიმუშში 80 პროც. გაფუჭებული და ქატო ნარევი აღმოჩნდა. კონსერვების 19 ნიმუშში 21 პროც. უვარგისი. ნაყინვის ყველა ნიმუშებში 33 პროც. უვარგისი. ღვინის 23 ნიმუშში 15 პროც. დამმარებული, ავადმყოფი [illegible] და [illegible] აღმოჩნდა. გარდა ამისა ლაბორატორიის გამოკვლევით უვარგისი აღმოჩენილა ბევრი სხვა სანოვაგე, როგორც მაგალითად ზეთი, ხიზილალა, ყავა, მაკარონი, თაფლი, ჩირი, ქონი, ყველი, ხაჭო, ძმარი, ჩაი და სხვ. სანოვაგე უვარგის წამლებ შერეული. შედარებით წინა წლებთან კი ფალსიფიკაცია ბაზარზე ნაკლებ ყოფილა.

**გორი.**

— გორში აუარებელი ხალხი ჩამოდის მაზრიდგან შაბიამანის საყიდლათ, მაგრამ ცარიელის ხელით ბრუნდებიან უკან. ხმა დადის რომ ვიღაც ვაჭარს მოუტანია შაბიამანი და ფუთს 60 მან. ჰყიდისო.

— გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ ერთი ბოჭკა შაბიამანი მოიტანა და კიდეც გაჰყიდა თავის წევრებზედ 20 მ. ფუთი. საზოგადოება კვლავ მოელის შაბიამანს.

— საოლქო სასამართლოს სესიამ დაამთავრა სისხლის სამართალში მიცემულთ საქმეების გარჩევა და 23 აპრილს დაბრუნდა თბილისში.

— ეს ოთხი დღეა გორში განუწყვეტლივ წვიმს. მტკვარი საშინლათ ადიდდა, ხიდის ქვეით, მტკვრის პირას მდებარე სახლებს წალეკვას უქადის. აუარებელი ტივის ხეები რომლებიც მტკვრის ნაპირას რიყეზედ ეყარა წყალმა წაიღო.

**ოზურგეთი.**

ადგილობრივ უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოწაფენი უკვე დაითხოვეს საზაფხულოთ; გადასასვლელი გამოცდები მოხდება მხოლოდ მეოთხე კლასში.

— 1897 წელს დაბადებულ ახალგაზდათა გაწვევა ჯარში 25 აპრილიდან გადიდვა 15 მაისისთვის.

## თამარ მეფის დღესასწაული

პირველ მაისს, თამარ მეფის სახელწოდების დღეს ქართველი ქალები თამარ მეფის სადღესასწაულოთ დილას მართავენ. პირველ საათზე სახაზინო თეატრში გაიმართება თამარ მეფის დღესასწაული შემდეგი პროგრამით:

საზოგადო განხილვა თამარის მეფობისა—მ. ჯანაშვილი.

თამარის ტახტზე ასვლა—(მოძრავი სურათი) გადახდილი იქნება წესი მეფის ტახტზე ასვლისა.

ლექსებს წაიკითხავენ გრ. დიასამიძე, ეკ. ამირეჯიბი და ნ. დ. ერისთავი.

თამარის ნადიმი (სუფრული და ცეკვა სამაია).

გრ. რობაქიძე წარმოსთქვამს სიტყვას „ცოცხალი ლეგენდა".

დასასრულ იქნება აპოთეოსი, იმღერებენ „თამარის დროშა"-ს. თამარ მეფის დღესასწაულის გადახდას აპირებენ: გორსა, კავკავსა, ერივანსა, განჯასა, ზუგდიდსა, ხონსა, სოხუმსა და სხვაგან.

## პურის სიმცირე

25 აპრილს თბილისში საკმაო პური არ გამოაცხვეს მეფურნეებმა და მეთორნეებმა. ხალხი აწყდებოდა ფურნეებს და თორნეებს და დიდს ხანს ელოდებოდნენ პურს. პური ძალზედ უმცხვარი იყო და არსებული ნიხრიც ბევრგან ირღვეოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, ოღონდ მცირეოდენი მაინც ეშოვნა პური. როგორც გადმოგვცეს, ამ მოვლენის მიზეზი სხვათა შორის შემდეგი ყოფილა: თბილისში ამ უკანასკნელ დროს ქალაქის გამგეობას მოსვლია შავი ზღვით 110 ვაგონი ფქვილი რომელთაგან 60 ვაგონი მეფის ნაცვლის კანცელარიას გადაეცა სოფლებისათვის, ხოლო თბილისისათვის დარჩა 50 ვაგონი. ამ რიცხვიდან ქალაქის გამგეობას 26 ვაგონი გადაუდვია თავისს საწყობებში შესანახად, 10 ვაგონი დაუნიშნავს ქართველ მეპურეთა ამხანაგობისათვის, 5 ვაგონი ამხანაგობა „რაჭისათვის" და 9 ვაგონი რატიანის კანტორისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ფქვილი, რკინის გზით მოტანილთან შედარებით, უფრო ძვირად დამჯდარა. მაგალითად ეხლა 1 ტომარა ფქვილი. (5 ფუთი) ჯდება ფურნეში მიტანით 17 მან. 50 კაპ. არსებული ნიხრით კი 5 ფუთი გამომცხვარი პური იყიდება 15 მან. მართალია გამოცხობაში პურს ემატება, მაგრამ მეპურეები ამბობენ, რომ მომატებული წონა ხარჯებს ვერ ფარავს და ვზარალობთო. გუშინ, 26 აპრილს, პურის გამოცხობა კიდევ უფრო შემცირდა: ზოგიერთი თორნეები სრულებით დაკეტილია და ფურნეებში ერთობ ცოტას აცხობდნენ. გაჭირვება ერთობ დიდია, საჭიროა ფიცხელი ღონისძიება.

ქალაქის გამგეობის ცნობების მიხედვით თბილისში ფქვილი ბევრია და მეპურეებს ხეირიც აქვთ, მაგრამ მაინც უნდათ ხელოვნურად ასწიონ პურის ფასი. გამგეობამ დაიბარა მეპურეების უსტაბაშები და გააფრთხილა, რომ ვინც ნიხრის დარღვევას შეეცდება, სასტიკად დაისჯებაო. თბილისში 97 მეფურნეა და გამგეობის ცნობებით, ესენი ყველანი მუშაობენ, 250 მეთორნეთაგან კი მხოლოდ 150-მა განაახლა პურის ცხობა.

ქართველ მეპურეთა ამხანაგობას, როგორც გადმოგვცეს, 7 ვაგონი ფქვილი აქვს, მაგრამ არც ერთ წევრს არ მიაქვს, რადგან ფქვილის სიძვირის ეშინიათ. ნიხრის მომატებაც თითქმის შეუძლებელი ყოფილა, რადგან როცა აქ გირვანქა გამომცხვარ პურზე 1 კაპეიკს უმატებენ, წისქვილის პატრონები თავის მხრივ მაშინვე 1 მანეთს უმატებენ 1 ტომარა ფქვილს. ამ რიგად პურის ფასი თანდათან გაიზდება და ეს საშიში საქმეა.

## ირ. ევდოშვილს

სალამი ჩემო ბულბულო,
მგოსანო სიყვარულისა,
ხმა-ტკბილო გრძნობა-ჩონგურო,
სამშობლოს ობოლ გულისა!

როგორ ხარ? ჩანგი რას ფიქრობს?
როგორ გმეგობრობს ნაღველი?
ხომ არ დამდგარა ზღვა-სული,
ბრძოლისა გამომსახველი?

ეგები ნუგეში გაკლია
და თანაგრძნობა ძმებისა?
მაგრამ ხომ გახლავს მუსიკა
შენივე ციურ ხმებისა!

ეგებ წყლულმა გიმატა,
სიცხე თამაშობს მაჯაზე,
მაგრამ შენ ტანჯვამ დაგბადა
და გაიზარდე ტანჯვაზე!

ჩამოჰკარ სიმებს, შენს ერთგულს
მოკითხვა შემომითვალე,
მიამბე როგორ იმგზავრე,
მიამბე, როგორ ეწვალე!

დეე, ის ძველი ნაღველი,
რომელიც არა სცხრებოდა,
სამშობლოშიაც, გარეთაც,
სამშობლო ენატრებოდა,—

აფეთქდეს ღვთიურ სიმებში,
მასმინოს კვნესა გულისა,
დამწვარი ფიქრი-ოცნება,
დამწვარი სიყვარულისა.

მე ყურს დავუგდებ, ვიტირებ,
ჯადო-სიმღერით ვნებული,
შენი მოძმე და კეთილი,
შენსავით შეყვარებული...

სალამი, კიდევ სალამი,
მგოსანო ტანჯვა-წყლულისა,
ხმა-ტკბილო გრძნობა-ჩონგურო,
სამშობლოს ობოლ გულისა!

**ნ. ჩხიკვაძე.**

## საეროზო თათბირის გამო

„სახალხო ფურცელი" არკვევს თავის პოზიციას საერთოდ ერობის მიმართ. გაზეთი აღნიშნავს რუსეთში არსებული ერობის არა დემოკრატიულ და წოდებრივ ხასიათს, ერობის არსებობას ამგვარ საფუძველზე გაზეთი არ იწყნარებს. მოითხოვს დემოკრატიულ ერობის და თავის პრინციპიული დეკლარაციის შემდეგ, ეხება რა კონკრეტულად კავკასიის საერობო თათბირს და ჩვენში ერობის შემოღების საკითხს, სწერს:

„შეგვიძლიან თუ არა უარვჰყოთ ერობა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ისეთი არ იქნება, რანაირიც ჩვენ გვინდა? არ შეგვიძლიან. დღევანდელის სახით საქალაქო თვითმმართველობა არავის აკმაყოფილებს; მაგრამ საქალაქო თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სჯობიან ადმინისტრაციის მიერ წარმოებულ მეურნეობას. ესევე შეიძლება ითქვას საერობო თვითმმართველობაზე. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეხლანდელი ერობა სჯობიან იმას, რაც დღეს არის. საერობო თანხების განაწილება საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ სჯობიან ადმინისტრაციის ბატონობას. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან უარვჰყოთ დადებითი მუშაობა ერობის განსახორციელებლად. ამიტომ მონაწილეობაც უნდა მივიღოთ იმ საერობო თათბირში, რომელიც მალე დაიწყება.

რახან სასურველი პროექტის შემუშავება ვერ მოხერხდება, შენიშვნებისა და შესწორებების საშუალებით უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს პროექტი სასურველ იდეალს. ამაში უნდა გამოიხატოს ჩვენი წარმომადგენლების მუშაობა მომავალ თათბირში".

—

ამავე საკითხს ეხება გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩიც". გაზეთი ჯერ აღნიშნავს ორ სხვა და სხვა შეხედულებას და მიმდინარეობას, რომელიც არსებობს კავკასიის მკვიდრთა შორის მომავალი ერობის თაობაზედ. ერთი მიმდინარეობა სომხურია, რომელიც ვითომდა იდეალურ ერობის მოთხოვნის სახით ფაქტიურად წინ ეღობება ამ ასი წლის პოლიტიკური თანარსებობის შემდეგაც კავკასიის მკვიდრთა უფლებრივ და მდგომარეობრივ გათანასწორებას რუსეთის შიდა გუბერნიების მკვიდრებთან; მეორე მიმდინარეობა ქართულ-მუსულმანურია, რომელიც მოითხოვს ხანდაუსმელად ამ გათანასწორებას და ზღუდეების დარღვევას, ამ ხანად იმგვარივე ერობის შემოღების სახით კავკასიაში, რომელიც რუსეთში არსებობს. ამის შემდეგ გაზეთი სწერს:

„რუსეთის ცენტრალ გუბერნიებში მოქმედობს 1890 წლის დებულების ერობა. ამგვარსავე ერობას მოითხოვს კავკასიის მკვიდრთა დიდი უმრავლესობა, ყველა იმ ღირსება-ნაკლულევანებით, რომელიც თან ახლავს რუსეთში შემოღებულ ერობას; ემხრობა ამ ერობას იმ რწმენით, რომ ყველა ის რეფორმა, რომელსაც სრულიად რუსეთის ერობის ცხოვრებაში შემოიღებენ, უკლებლივ გავრცელებული იქნება ამიერ კავკასიის გუბერნიების ერობაზედაც".

—

გაზეთმა „თანამედროვე აზრმა" სხვა და სხვა დროს გამოთქვა თავის აზრი ერობის შესახებ. ამ მიმართულებას არ ეტყობა ის შეურიგებლობა, რომელსაც იგი იჩენდა მაგალ. 1905 წლის საერობო თათბირებისადმი, როდესაც ბოიკოტის გზას ადგა. დღეს გაზეთი იმეორებს თავის დემოკრატიულ დეკლარაციებს, მაგრამ საერობო თათბირის მიმართ არავითარ მტრულ ჰანგებს არ აჟღერებს.

ჩვენი აზრი ერობისა და საერობო თათბირის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ რაც შეიძლება მალე გვეღირსოს თვითმოქმედების პირობები და სხვა და სხვა მიზეზების გამო კიდევ რამდენიმე წლით არ გადავვიდონ ერობის შემოღება, რომელსაც სამოციან წლებიდან თხოულობდა ქართველი საზოგადოება, მხარს უჭერთ 1890 წლის საერობო დებულებას იმ აუცილებელ შესწორებებითა და შევსებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის სპეციფიურ მდგომარეობით ა-ის გამოწვეული და რომელიც რაც შეიძლება მეტს გადემოკრატებაში უნდა გამოიხატოს. განსაკუთრებით ცენზის შემცირებაა საჭირო, რომ ერობის მოწყობაში და ცხოვრებაში რაც შეიძლება ხალხის ფართე მასამ მონაწილეობა მიიღოს. მომავალ უფრო დემოკრატიულ ერობამდე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ უნდა ვზრუნავდეთ, დღეს უნდა იმით დავკმაყოფილდეთ, რის მიღებაც შეიძლება არსებულ პირობებში.

ამნაირად მთელი ქართული პრესა მომხრეა სრული დემოკრატიული ერობისა, მაგრამ უკეთესის მოლოდინში 1890 წლის ერობის შემოღებას მხარს უჭერს ზოგიერთ აუცილებელი ცვლილებების შეტანით.

—

სხვა ჰანგებზედ მღერიან სომხური გაზეთები და სომეხთა რუსული გაზეთები. ერობის საშუალებით მათ სურთ გამოჰკვეთონ სომხური ავტონომიის რამ მზგავსი წყობილება; მოითხოვენ გუბერნიებისა და მაზრების ახალ გადამიჯვნას; საქართველოს სხეულიდანაც ალბად მოესურვებათ (ეს ხომ არა ერთჯერ სერიოზულად განაცხადენ) სომხებით დასახლებული ადგილების ჩამოჭრა; ამ გზით ახალი საერობო ერთეულების შექმნას ესწრაფვიან.

ამგვარად, სომხებს სურთ ისარგებლონ ერობის შესახებ მთავრობის წინადადებით გამართულ თათბირით თავიანთ პოლიტიკურ-ეროვნულ მიზნისთვის. და თუ დაატყვენ, რომ ისინი ვისაც ერობა უნდა როგორც სამეურნეო და საკულტურო თვითმოქმედების საშუალება და ფორმა, თუ დაატყვენ რომ ისინიც, ვისზედაც დამოკიდებულია ერობის შემოღება, ამ პოლიტიკურ-ეროვნულ მახინაციებს არ გაჰყვებიან და მოკლედ მოსჭრიან, მაშინ სომხობა არ დაერიდება რომ ხელიც შეუშალონ ჩვენში ერობის შემოღების საქმეს. კრებაზედ თუ საგაზეთო წერილებში კანტი-კუნტად ყოველთვის ამას ამჟღავნებენ და გვაგრძნობინებენ ხოლმე. ბურჟუაზიული და პლუტოკრატიული სომხობა დღეს შეურიგებელ მემარცხენე რევოლიუციონერთა ტაქტიკას ადგია: **ან ყველაფერი, ან არაფერიო!**

სომეხთა გაზეთ **„კავკაზსკოე სლოვო"**-ს უკვირს, რომ კავკასიის მკვიდრთა დიდი ნაწილი მთელი ქართველობა და მუსულმანობა ზოგიერთის ცვლილებით 1890 წლის დებულების ერობის შემოღებას მოითხოვს და ამბობს: „ამისთვის საჭირო არ იყო არავითარი თათბირი, არც არავითარი კანონპროექტი მეფის ნაცვლის კანცელიარიისა; ამისთვის არც სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ საჭირო; საკმარისი იყო უბრალო, წერა-კითხვის მცოდნე მინისტრი, რომელიც დასწერდა მოკლე წერილს, რომ კავკასიაზედაც გავრცელებულიყო 1890 წლის საერობო დებულება 87 მუხლის ძალითო, მაგრამო, განაგრძობს გაზეთი, რადგანაც თათბირი მოიწვიეს და ხალხი იქ თავისთავად მიეშურება რომ ქვეყნის საჭიროებაზედ ილაპარაკოს, რადგანაც ამის თაობაზედ ბჭობენ, ცხაროზენ, ცხადია ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ეს-და ვსთქვათ: ჩვენ არავითარი აზრი არა გვაქვსო.

გაზეთი თავს იკატუნებს, თითქოს არ იცის, რომ გამართული თათბირის ერთი მთავარი დანიშნულება ის არის რომ აღნუსხოს და ნათელ ჰყოს ადგილობრივი სპეციფიური პირობები, რომელიც სახეში უნდა მიიღოს რუსის კანონმდებელმა მაშინ, როდესაც იგი ისეთ წოდებრივ და არა დემოკრატიულ ერობას ჰქმნის, როგორიც 1890 წლის ერობაა და მაშინაც როდესაც იგი დემოკრატიულზედ უდემოკრატიულესს ერობის პროექტს დაგვიწერს. გაზეთი განაგრძობს:

„თათბირმა იმაზედ კი არ უნდა იზრუნოს, რაზედაც უფროსის მოსვლის წინ ძველი მოხელეები ზრუნავენ: დასწყევლოს ღმერთმა არ იცი როგორ მოეპყრაო, ამბობენ ისინი, გეშინიან ვერ შეახტე, გეშინიან გადაახტეო".

„კავკასკოე სლოვის", როგორც სჩანს თავზე გადახტომა მოუსურვებია. ღმერთმა ხელი მოუმართოს. შეურიგებელი პოზიცია, „ან ყველაფერი ან არაფერი". ნუ თუ „სომეხმა ხმალი აიღო, ქართველმა სომხის დავთარი?!". არა! ვიცით ძაღლის თავი სად მარხია!!

## ქალაქის საბჭო

25 აპრილი.

საღამოს 8 საათზე 74 ხმოსანმა მოიყარა თავი. ფიცის მიღების შემდეგ, ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, გაიმართა კერძო თათბირი. თათბირის საგანს შეადგენდა, გადაწყვეტა საკითხისა, თუ როდის იქმნან არჩეულნი ქალაქის მოურავი, ქალაქის მდივანი და გამგეობის 2 წევრი, რადგან ბ-ნთ ხატისოვს, სტავროვსკის, არღუთინსკის და ჯაბარს სამსახურის ვადა გაუვიდათ. საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია: ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნულ თანამდებობის კაცნი ეხლავე უნდა ავირჩიოთო; ზოგნი იმ აზრს ადგნენ, რომ, რადგან საბჭოში ბევრი ახალი [illegible] შემოვიდა და საჭირო ამათ [illegible] გაიცნან ქალაქის საქმეები და მოღვაწენი, არჩევნები შემოდგომამდის გადაიდვასო ზოგნიც კიდევ ამტკიცებდნენ, რომ არჩევნების გადადება დიდი ხნით არ შეიძლება და არც საჭიროა, რადგან ვადა გასულ თანამდებობის კაცნი, არჩევნების მოლოდინში გულიანად ვერ იმუშავებენო. ბოლოს დიდძალ ხმის უმეტესობით გადაწყდა, რომ ქალაქის მოურავი და მდივანი არჩეულ იქმნან 2 მაისს, ხოლო გამგეობის ორი წევრი კი 31 მაისს.

კერძო თათბირის შემდეგ გაიხსნა საბჭოს კრება. თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა გრძელი სიტყვით მიმართა ხმოსნებს, რომელშიაც განმარტა საბჭოს მუშაობის საგანი.

შემდეგ კრებამ აირჩია საბჭოს თავმჯდომარედ განსაკუთრებულ საქმეების განხილვის დროს ხმ. ლუნკევიჩი და საბჭოს წარმომადგენლად საქალაქო საქმეთა საკრებულოში ი. მ. დოლუხანოვი.

ასარჩევი იყო სხვა და სხვა კომისია და მათ შორის სარევიზიო კომისიაც, რომლის მუდმივ მუშაობას აუცილებლად თხოულობენ ქალაქის საქმეები, მაგრამ არჩევნები დროებით გადაიდვა, სანამ გამგეობა მოხსენებას წარმოუდგენდეს საბჭოს თითოეულ კომისიის მოვალეობის შესახებ.

დასასრულ კრებამ მოისმინა გამგეობის წევრის **ა. მ. არღუთინსკის** მოხსენება შესახებ ტრამვაის ლიანდაგის შეკეთებისა. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ქალაქის ცენტრში ზოგან ისე გაცვეთილა ლიანდაგები რომ ვაგონები ხშირად ვარდებიან ბევრს ეცადა ქალაქის გამგეობა, მაგრამ რელსები ვერსად იშოვა. ამისათვის რუსეთშიაც კი გაგზავნა ინჟინერი სემენტკოვსკი, მაგრამ იქაც ვერას გახდა. ამიტომ გამგეობას საჭიროდ მიუჩნევია რელსები აჰყაროს წმ. ბარბარეს ეკლესიასა და ძველ სასაკლაოს შუა და ისინი სხვა ლიანდაგებს მოახმაროს. ამასთანავე მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ რაკი ძველ სასაკლაოზე აღარავითარი მუშაობა არ არსებობს ამ ჟამად და აღნიშნულ ლიანდაგის მახლობლად სულ 5—6 ქოხის მეტი არ არის, ეს ლიანდაგი საჭიროც აღარ არისო.

თავჯდომარემ **ბ-მა ხატისოვმა** დასძინა მოხსენებას, რომ ამ ჟამად რელსების შიმშილობაა და ქალაქს კი არა მთავრობასაც უძნელდება რელსების შოვნაო. ამასთანავე, როგორც ორატორმა განაცხადა, ქალაქის გამგეობა ამ შემთხვევაში მაგალითს ღებულობს მთავრობისაგან, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, რკინის გზის რელსები ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადააქვს. ქალაქის გამგეობასაც კი შეჰკითხებია მთავრობა, ხომ არა გაქვთ ტრამვაის რელსები, რომ ვიწრო ლიანდაგიან მისასვლელ გზებს მოვახმაროთო.

მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბ-ნნი **გალსტიანი და მიტკევიჩი** ამტკიცებდნენ, რომ ტრამვაი ჯერ ქალაქს არ ეკუთვნის, სასამართლოში ამის შესახებ საქმე არ გათავებულა, იქნებ საქმე ისე დატრიალდეს, რომ მთელი ქონება ტრამვაისა უკანვე დაიბრუნოს უსახელო საზოგადოებამ და რა უფლება გვაქვს, ჩვენ სხვისი ქონება ავშალოთ და დავშალოთო.

**ხმ. წვერავა** ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ ლიანდაგის მახლობლად მამუკაანთ სოფელია, რომელშიაც 1500-მდე მცხოვრებია. ამ სოფელს ქალაქთან მჭიდრო კავშირი აქვს, დღე და ღამე ხალხი მიდი მოდის იქ და როგორ შეიძლება ამ ხალხს მიმოსვლის ერთად ერთი საშუალება მოუსპოთო. იქაურ ხალხს ეტლებით სიარული ხომ არ შეუძლიანთო?

**ხმ. ენფიაჯიანცი** და ზოგნი სხვები გამგეობის მოხსენებას ემხრობოდნენ.

**ხმ. ტერ-ოჰანესოვმა** ცხარე სიტყვა წარმოსთქვა რელსების აყრის წინააღმდეგ, რამაც ტაშის ცემა გამოიწვია ქანდარაზე.

ბოლოს მიღებულ იქმნა წინადადება **ხმ. ჩერნიშოვისა და ლომთათიძისა:** შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ გამგეობასთან ერთად ხმოსანი ტეხნიკოსები, ავლაბარში არჩეული ხმოსნები და აგრეთვე ხმ. წვერავა, რომელიც დაახლოვებით იცნობს ნავთლუღს. ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რამდენად შესაძლებელია გამგეობის მოხსენების შესრულება. კომისია თუ საჭიროდ სცნობს ამ მოხსენების შესრულებას, ე. ი. ლიანდაგის აყრას, იმ შემთხვევაში აყრილ ლიანდაგის ნაცვლად ძველი ლიანდაგი უნდა იქნას იქ დაგებული.

## გურიის აპ-კარში

**ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება.**

20 აპრილს მოხდა ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც 50-მდე მასწავლებელი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა სამაზრო სამრევლო სკოლათა მეთვალყურე მ. დიომ. ჩხაიძე, მდივნად ამოირჩიეს ბ. სიმ. რამიშვილი.

დღიურ წეს-რიგში 5 კითხვა იყო შეტანილი: 1) როგორ მოეწყოს მასწავლებელთა კრებები—მთელი მაზრის ერთად თუ უბნებად დაყოფილი და სად, 2) ჯარის საჭიროებისთვის მწვანილეულობისა და ბოსტნეულობის დამზადება, 3) ჯარისკაცთა ოჯახების დახმარება, 4) სამასწავლებლო წიგნთსაცავის დაარსება და 5) მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა.

სანამ დღიურ წეს-რიგში შეტანილ კითხვათა გარჩევას შეუდგებოდნენ, გურიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ბ. პარ. თოთიბაძემ მოკლე მოხსენებით მიმართა კრებას, გააცნო მიზანი ხსენებული საზოგადოებისა და დასძინა, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ ყველგან დაგზავნილი უწყებებისა, დამფუძნებელ კრებას სახალხო მასწავლებელთა სულ მცირე ნაწილი დაესწროვო; კრება მაინც შესდგა და ჩვენ გვაქვს ეხლა მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება, რომლის ფარგლებშიც თავისუფლად შეგვიძლიან გავაჩაღოთ შრომა და ვიქონიოთ საკუთარი ინიციატივაო. დიდი ბრძოლა და მეცადინობა დაგვჭირდა, სანამ ასეთ უფლებას მოვიპოვებდით და შეიძლება ესეც იყო მიზეზი, რომ პირველ დამფუძნებელ კრებას ისე გაურბოდნენ სახალხო მასწავლებელნი, ეხლა კი სამოქმედო კალაპოტში ჩადგა უკვე საზოგადოება და წინადადებით მივმართავდი ყველა აქ დამსწრეთ ჩაეწერნენ საზოგადოებაში, მხარში ამოვუდგეთ ერთი-მეორეს და საერთო ძალით ვწიოთ სახალხო მასწავლებლის მძიმე უღელი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ 8—9 მაისს ვაპირებთ სამაზრო კრების მოწვევას, რომელზეც მრავალი საჭირ-ბოროტო საკითხია გასარჩევი მასწავლებელთა ცხოვრებიდან, დაასრულა ორატორმა.

ბ. თავმჯდომარეს რიღასიც ეფიქრება და ეჭვის კილოთი შენიშნავს, რომ თბილისში კი გახსნეს ასეთი კავშირი, მაგრამ ქუთაისში მითხრეს, რომ ამის შესახებ გარკვევით არა ვიცით-რაო. შემდეგ კი, როდესაც დაარწმუნეს ბ. თავმჯდომარე, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცებულია სათანადო მთავრობის მიერ და თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის წესდებიდანო, მერე განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობა არ მიუღია სასულიერო მთავრობას აქაური საზოგადოების წესდების შემუშავებაში, მე მაინც საწინააღმდეგო არა მაქვს-რა, რომ სამრევლო სკოლის მასწავლებელნი ჩაეწერნენ წევრებად სახალხო მასწავლებელთა საზოგადოებაშიო“.

შეუდგნენ კითხვების განხილვას.

ბ. ი. ლომაძე წინააღმდეგია მასწავლებელთა კრებების უბნებად დაყოფა-დანაწილების, რადგან ისეც ცოტანი ვართ რიცხვით სამრევლო სკოლის მასწავლებელნი და თუ ძალები კიდევ დავქსაქსეთ, ველარაფრის გაკეთებას ვერ შევძლებთ, ამიტომ, უფრო მიზანშეწონილი იქნება მთელი მაზრის მასწავლებელთა შეერთებული კრებები ხდებოდეს, მხოლოდ უკეთესად მოწყობილი, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ერთი კვირით ადრე მაინც იცოდეს, როდისაა კრება დანიშნული და აგრეთვე ჩამოწერილი იყოს მოსაწვევ უწყებაში კრებაზე გასარჩევი კითხვები, რომ მომზადებული შევხვდეთ ყოველივე საკითხს.

კრებამ სასურველად სცნო ორატორის მიერ მოყვანილი მოსაზრებანი და დაადგინა მთელი მაზრის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებები ხდებოდეს შეერთებული.

დამსწრეთა შორის კამათი გამოიწვია მხოლოდ კითხვის მეორე ნახევარმა, თუ სად ხდებოდეს ასეთი კრებები—მარტო ოზურგეთში, თუ სხვაგანაც, მაგალ. ჩოხატაურში და ლანჩხუთში. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ აქ, ოზურგეთშიც ძნელია ღამის გასათევი ბინის შოვნა და ლანჩხუთ-ჩოხატაურში სრულიად შეუძლებელია ასეთი ბინის შოვნა და ჩვენი კრებები კი, მოსალოდნელია, 2-3 დღით გაგრძელდესო, ამიტომ სასურველად სცნობდნენ კრებების მართვას ოზურგეთში.

მეორენი კი წინააღმდეგს ასაბუთებდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ კრების რიგ-რიგით მოწყობას ოზურგეთ-ლანჩხუთ-ჩოხატაურში, რადგან ოზურგეთზე უკეთეს ღამის გასათევ ბინას იქ ყოველთვის ვიშოვითო.

გ. ჯავახი.

(დასასრული იქნება)

## დაბა-სოფლები

**ს. ჯვარი** (ზუგდიდის მაზრა). ეს სოფელი სამეგრელოს ჩრდილოეთით იმყოფება. აქ ჯერ არ შეუშუქებია განათლების ცხოველ მყოფელ სხივებს, რის გამოც ყოველი ბოროტ-მოქმედება ადვილად იკიდებს ფეხს. ს. ჯვარს ამ მხრივ თუ პირველი არა, არც უკანასკნელი ადგილი უჭირავს; აქ ხშირია გულ-შემზარავი ამბები ისედაც გაძვალ-ტყავებული ხალხის ძარცვაგლეჯისა, დაწიოკებისა, თითქოს არ კმაროდეს ათასი სხვა უბედურება, რომელიც ერთბაშად თავს დაატყდა ჩვენს გლეხს. ცნობილია, როდესაც სხეული დაუძლურდება, ყოველგვარი ავადმყოფობა მასში ადვილად იკიდებს ფეხს. სწორედ, ეხლა სჭირია სწორი დიაგნოზი, თავ-გამოდებული მზრუნველობა ჩვენს სოფლებს, რომ ერთხელ დაუძლურებული ორგანიზმი სულ მთლად არ დაიშალოს, მაგრამ სად არის შველა, სად არის მზრუნველი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ ბოლო დროში გახშირებული ავკაცობა ჩვენში დეზერტირების საქმეა. ჯარის კაცთა გაქცევამ ზოგიერთ სოფლებში მასიური ხასიათი მიიღო და ათასობით გაიფანტა ტყეში, სამსახურით და ომიანობით დაშინებული ახალ-გაზდობა. ცხადია, მათ რჩენა უნდათ, მშიერისთვის არავითარი ზნეობრივი კანონები არ არსებობს. საჭიროა, სასტიკი ზომები იმ ვაჟ-ბატონების წინააღმდეგ, რომელთაც ყოველგვარი ზნეობრივი კანონები გადაულახავთ და გაშმაგებულ მხეცებს დამსგავსებიან, მაგრამ რა მიზეზია თვით სოფლის დარაჯად დაყენებულნი (სოფლის პოლიციის მოხელეები) ყურსაც არ იბერტყენ. მათი მოქმედება რაღაცა გამოურკვეველ ამოცანას წარმოადგენს და მწარე ეჭვებს ბადებს. საჭიროა, ამას ყურადღება მიაქციოს უმაღლესმა მთავრობამ.

ლაგუჯი.

—

**ს. ალამბარი.** (ქობულეთის მხარე, სამაჰმადიანო საქართველო). სოფელი ალამბარი ძევს ქობულეთიდან რამოდენიმე ვერსის მოშორებით. აქ მცხოვრებნი სულ ქართველი მაჰმადიანები არიან და მეც აქ მარგუნა ბედმა სამსახური. ყველას კარგად მოეხსენება თუ რა უხვი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენმა ქართველებმა თავიანთ მოძმე მაჰმადიანობას, მაგრამ ყველაზედ უხვი და დაუფასებელი კი სკოლებია, ის სკოლები რომლითაც საშუალება ეძლევა ახალ თაობას და თვით მოზრდილებს გაარღვიონ სიბნელე და სინათლის გზას დაადგნენ.

როდესაც აქ მოვედი მასწავლებლად ცუდი ამინდი იყო და ხალხიც ნაკლებად შემხვდა. ჩვენმა უფროსებმა ჩამაბარეს ხალხს და თვითონ კი წავიდნენ. აუწერელი იყო ჩემთვის ის სურათი, როდესაც ისინი მშორდებოდნენ, ობლად ვგრძნობდი თავს. ჩემი თავი პირველად უცხო ხალხში მეგონა. ყველას დანახვას ვერიდებოდი. ქალები მოდიოდნენ და მესაუბრებოდნენ. ასე გასტანა რამოდენიმე ხანმა, მაგრამ ჩემს შიშს ბოლო მოეღო. გავეცანი ხალხს, გავედი მათში და მშვენიერების სურათი გადამეშალა. ჩემ თავს აღარ ვგრძნობ უცხო ხალხში, ვერ ვხედავ უცხო ზნე-ჩვეულებას, არც სახლ-კარს. ეს ჩვენია, ჩვენი გურია! შეხვდები მათსავით მოლაპარაკე ქალსა და კაცსა მე უფრო მარტოობას ვიგრძნობდი სადმე ქართლის სოფელში, ვიდრე აქ. თვით ბუნება უმშვენიერესია. ხედავ მაღალ მთებს, მშვენიერ ბაღებს და მწვანეთ აბიბინებულ მინდორ-ეზოებს. სიამოვნებას გვრის ადამიანს და გავიწყებს ყოველ გვარ სევდას. საღამო ჟამს გესმის გზაში წისქვილიდან ან ტყიდან მომავალი პატარა ბიჭის სიმღერა „ია-უა და ოდელა“. გესმის ყოველივე ეს და ოცნების სამეფოში გადადიხარ. გსურს სულ ამ ხალხზე იოცნებო და თან დანაშაულადაც თვლი თავს, თუ ასე გვიან რად მოხდა გაცნობა და დაახლოვება? ამ ხნის განმავლობაში რატომ არავინ იღებდა მათზე ხმას და რათ ვეძახდით მათ თათრებს? ან რად არ მიეცათ საშუალება დღემდის სწავლა-განათლებისა, სადაც კარგი ხანია ნიადაგი ჰქონია მომზადილი. როდესაც თბილისიდან მოვდიოდით ჩვენი უფროსები ამბობდნენ: თქვენ ძალიან ცოტა სამუშაო გექნებათ პირველადო, მაგრამ დღეს სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახა. ეს ალაგი მარტო მე მხვდა წილად.

რა გაიგო ხალხმა, ჩვენც გვექირსა სკოლა, ჩვენშიაც შემოანათა ლამპარმაო, აუარებელი ბავშვები მოიყვანეს და ორი დღის განმავლობაში 100-მა ბავშვმა მოიყარა თავი, ქალმა და ვაჟმა. საჭირო შეიქმნა მეორე მასწავლებლის მოწვევა. აი ასეთი სოფელი, რომელიც უზომოდ მოწყურებული იყო სწავლა-განათლების ამდენი ხნის გამავლობაში, უყურადღებოდ იყო დარჩენილი, დღემდის არავის არ უზრუნია მათთვის. აქაური ხალხი ფხიზელი, მარდი, თავაზიანია და ზედ მიწევნით პატიოსანი და მასთან დაინტერესებული ყოველგვარ საკითხში. ბავშვები ხომ კალმით აუწერელი არიან მალხაზი. ცქვიტი. და როდესაც რაიმეს უხსნი მზად არიან ყოველივე ჩაიბეჭდონ. ერთი ზემო ქართლის მასწავლებელი მეწვია შემთხვევით და როდესაც ნახა ჩემი ბავშვების ასეთი სიმკვირცხლე სთქვა: „ამ ბავშვებში ოთხ-ხუთ თვეში შეიძლება კაცმა გააკეთოს იმდენი, რამდენსაც ჩვენი ქართლის ბავშვებში ერთ წელს მოუნდები.

მასწ. ხანუმა-ეფენდი.

## მადლობის გამოცხადება

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილებამ აღდგომის კვირას ბ. ხიზანაშვილის სახლში, კნ. ელ. ვახვახიშვილის დიასახლისობით, მოაწყო საჩაიე „ძმური ნუგეში“ ომისაგან დაზარალებულთათვის.

საერთო შემოსავალი ოთხმოცდა ათ თუმანს აღემატებოდა, ხოლო ხარჯების გამოკლების შემდეგ გადარჩა ორმოცდა ცხრა თუმანი და ორი მანეთი (492 მანეთი).

საზოგადოება განსაკუთრებულ მადლობას უძღვნის კნ. ვახვახიშვილისას ერთგულ დიასახლისობისათვის და ხიზანაშვილის სახლობას, რომელმაც უფასოდ დაუთმო შენობა „საჩაიეს“ და ყოველმხრივ ხელს უწყობდა საქმის ღირსეულად დაგვირგვინებას. მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც პირად დახმარებით, თუ შემოწირულობით, ამ საქმეს თავიანთი თანაგრძნობა გამოუცხადეს. გაზეთში აღსანიშნავად მიაჩნია აგრედვე 10 წლის ბავშვის მარინე ვახვახიშვილის ასულის სამაგალითო საქციელი, რომელსაც დიდების წაბაძვით თავის ტოლ-ამხანაგებში გაუმართავს „საჩაიე“ და იქ შეგროვილი 4 მანეთი გადასცა საქველმოქმედო საზოგადოებას შემდეგ ბარათით:

„ჩემი საჩაიეს შემოსავალი, პატარა ობლების სასარგებლოდ.“

საზოგადოდ გამგეობა კმაყოფილია იმ თანაგრძნობით, რომელიც მოიპოვა თელავის საზოგადოებაში მის მიერ დაწყებულმა საქმემ და სწამს რომ საზაფხულოთ, როდესაც განზრახულია განახლდეს „საჩაიე“ თელავის ქართველობა ასეთივე ხალისით გაიღებს თავის წვლილს კეთილ და სახალხო საქმისთვის.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა.

## წერილი რედაქციის მიმართ

(დასასრული)

ცოტა რამ მზარეულების გაფიცვის შესახებ- გაფიცვის წინა ხანებში, საზოგადოთ სიძვირის გამო მე თვითონ მიუმატე ყველას ჯამაგირები ზოგს ერთი თვის, ზოგსაც ორი თვის წინეთ გაფიცვამდე.

მართალია, ზოგიერთ მუხლზე იმ მოთხოვნილებებისა, რომლებიც მზარეულებმა წარუდგინეს სასტუმროების პატრონებს, არც მე და არც სხვები არ დათანხმდენ (მაგალითად მზარეულმა თვითონ დაინიშნოს ჯამაგირის რაოდენობა), მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, სადა და რომელ ქვეყანაში არის ისეთი დაწესებულებები, სადაც მოსამსახურემ თვითონ დაინიშნოს ის ჯამაგირი, რასაც მოისურვებს, ხმის უმეტესობით იქმნეს მიღებული და დათხოვნილი. განა ეს შესაძლებელია? გაფიცვა გრძელდება, მაგრამ როგორც გადმომცენ ჩემმა მზარეულებმა ისინი ძალიანი მადლიერი არიან ჩემს დაწესებულებაში მხოლოდ ამბობენ, რომ მრავალ ადგილებში არ არის ისეთი კარგი პირობები, როგორიც ოქვენთანო. ბატონ მკითხველებს მინდა გავაცნო პირობები ჩემი სასტუმროში მზარეულებისა.

უფროსი მზარეული ღებულობს ჯამაგირს 110 მან. თვეში, ხელქვეითები მისი—70 მან., მოსწავლეები 18 მანეთიდან 40 მანეთამდე.

ყველა ზემოხსენებულ პირებს ეძლევათ ჩაი, შაქარი, ოთახი სანათებლით, სითბოთი, საჭმელ-სასმელი, სადილ ვახშამზე ღვინო და როდესაც მოესურვებათ მინერალური წყალი.

გაფიცვის შემდეგ ერთ ჩეს უფროს მზარეულს ველაპარაკე: ვისაც ეძლეოდა ჯამაგირი 70 მანეთი, მიეცემა 85 მანეთი და ამისდა მიხედვით მოემატება დანარჩენებს, ვინც ჩემს სამზარეულოში მსახურებენ მეთქი.

კიდევ მეორე პირობები მივაწოდე ჩემს მზარეულებს. აელოთ ჩემი სამზარეულო იჯარით; არ ვახდევინებდი არც სახლის ქირას, არც სავაჭრო მოწმობისას, არც პურჭლების ხმარებაში ვახდევინებდი, თეთრეულობა ჩემი იქნებოდა იმათ გარეცხვასაც მე ვკისრულობდი და პურიც ჩემი იქნებოდა. ზემოხსენებულ საგნების დასაკმაყოფილებლად ვითხოვდი მოეცათ ჩემთვის ნავაჭრიდან 20 პროცენტი. ამაზედაც უარით მიპასუხენ. მასთან ერთად ღრმად დარწმუნებული ვარ რომ ყველა რესტორანებ-სასტუმროების პატრონები დიდის პატივისცემით გადასცემდენ იჯარით სამზარეულოს თაეიანთ მზარეულებს.

მსურს ორიოდე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ. ჩემი სასტუმრო მთელს თბილისში საუკეთესოდ არის მოწყობილი, რადგანაც სახლი აშენებულია საგანგებოდ. სასტუმროც, რაც. ჩემს ხელში გადმოვიდა, უფრო გავაუმჯობესე და შენობაც გავადიდე. მეექვსე სართულში მოსამსახურეებისთვის გავაკეთე 13 ოთახი, რომელიც ზამთრობით ცენტრალური სათბობით თბება და ყოველ კრაოტთან მოსამსახურეებს ელექტრონის სინათლე გავუკეთე ელექტრონის ასანთებით და ჩასაქრობებით. სამწუხაროთ, არ ვიცი რათა და რისთვის, მგონია შეუგნებლობით, ერთ თვეზე ოთახში ყველაფერი ფუჭდება და ოხრდება. სტეხენ ლამპებს ელექტრონისას, სწყვეტენ „შნუროკებს“, ხსნიან გასაღებს ელექტრონისას. და თვითონვე ისპობენ სინათლეს და სითბოს.

ერთხელ ერთმა რაინდმა ვაჟკაცმა ძვირფასი კანკელი დაამსხვრია ტყუილ უბრალოთ.

იქნება ყველა ეს წვრილმანი საქმეა, მაგრამ რა ვქნა რომ ეს წვრილმანი ხელს უშლის საქმის წარმოებას და სასტუმროს ისეთ გზაზე დააყენებს, რომ იგი სასიამოვნო იყოს სტუმრისთვის და სასარგებლო პატრონისა და მოსამსახურისათვის. თუ მოსამსახურეები შეხედავენ ადამიანურის თვალით ამ საქმეს, ისე უნდა შეხედოს, როგორც მათ საზრდოს, ჩემი სასტუმრო არ არის მარტო ჩემი საზრდო, არამედ ასი კაცისა და მათი ცოლ-შვილების, და თუ სასტუმროს რიგიანათ არ უპატრონე, რა ბოლო მოელის.

ის ბოლო, რა ბოლოც ჰქონდა სასტუმროს უწინდელ პატრონს ვეტცელის ხელში.

ვეტცელს მამამ დაუტოვა ორი მილიონი ფულათ და დიდებული სახლი. მაგრამ საქმე ისე წაუვიდა რომ კაცი გაკოტრდა და იძულებული გახდა სახლიც გაეყიდნა და სასტუმროც. მერე რა ისარგებლეს იმ მოსამსახურეებმა, რომელთაც თვისი საქციელით ვეტცელი გააკოტრეს? ვინ ისარგებლა? ვის რა უჭირავს ხელში?

მე მემკვიდრეობა არ მიმიღია, მამა-პაპისაგან, მე უარს არ ვამბობ რომ ღარიბი ოჯახის შვილი ვარ, მე ამისი არა მცხვენია და პირიქით კიდევაც ვამაყობ ამითი. ჩემი შრომითა და საქმით, ერთგულებით სასტუმრო შევიძინე და შემდეგშიაც მსურს ვაწარმოვო ჩემი საქმე. ისე, რომ იგი სასარგებლო იყოს ჩემთვისაც მოსამსახურეებისა და საზოგადოებისთვისაც.

უკმაყოფილო მოსამსახურენი კიდევ თქვენ ან და სხვა რედაქციებს ჩივილით მიმართავენ „ნოე სიხარულიძემ უმიზეზოთ დამჩაგრა ან და დამითხოვაო“.

გავცემ მხოლოდ იმას პასუხს, ვინც თავის სახელით მომმართავს და დაასახელებს რითი დავჩაგრე, რა წავართვი, ან რა დაუშავე?

ცოტა პასუხი მზარეულთაგანს!

ძლიერ გაბრაზებული გაიძახის თითქო მე ქუდ-მოგლეჯილი დავრბოდი ქაცების საშუარათ, რაიც სიმართლეს მოკლებული არის. მე კაცი ჯერ-ჯერობით არ მიძებნია და ვღებულობდი ყოველივე ზომებს, ვწვალობდი, რომ არ გამწვავებულიყო საქმე და არ მოჰყოლოდა არა სასურველი შედეგები. თუ ჩვენ ყველა სასტუმროების და რესტორანების პატრონები ზოგს შორიდგან და ზოგს ახლოდგან მოსულ სტუმრებს არ ვხვდებით დაკეტილ კარებში და დიდის წვალებით ვაკმაყოფილებდით მათ მოთხოვნილებებს, თურმე ეს ყოფილა დიდი დანაშაულობა სასტუმრო-რესტორანების პატრონების.

მაშასადამე, ერთი მიბრძანეთ, ჩვენ რომ დაგვეკეტა სასტუმრო-რესტორნები, მოსული სტუმრები, ზოგი ავადმყოფნი და ზოგი კარგად-მყოფნი, მშიერნი ხომ იძულებულნი იქნებოდნენ მიემართა მთავრობისათვის, და ეჭვს გარეშეა ამას მოჰყვებოდა არა სასურველი შედეგები. და თუ ვამუშავებდით ჰურჭლის მრეცხველებს ყველა ამით გვინდოდა დაგვეფარა უსიამოვნებისაგან ჩვენ ჩვენი მზარეულები და ვმაცადინეობდით შერიგებას. კაცი არ ვარგა უსაქმოთ და საქმე კი უკაცოთ. რადგანაც ზემოხსენებულ ჩემს მიწოდებულ პირობებზე მივიღე უარი, ამიტომ 17 აპრილიდან ვთვლი ჩემს მზარეულებს დათხოვნილათ და ვთხოვ მობრძანდნენ და მიიღონ მათი ანგარიში.

თქვენი გაზეთი მომხრეა და მფარველი მშრომელი ხალხისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ და თქვენც დამეთანხმებით, რომ რედაქცია არ უნდა კისრულობდეს ისეთი მოსამსახურის მფარველობასა და თავმდებობას რომელიც ამ მფარველობისა და თავმდებობის ღირსი არ არის.

სასტუმროისა და რესტორანის
პატრონი ნოე გ. სიხარულიძე

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

([illegible] საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | . 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სჯარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 | წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 | „ | „ |

## გამოსადეგი ცნობა

### კავკასიის სამკურნალო ადგილების

## ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

**გამართულია ხელის მოწერა**

## კიკნა-ფშაველის

**პოემების და ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით.**

**წიგნი ეღირება ათ შაურად.**

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**წიგნის მაღაზია**

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „ომშოზნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.